პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 37-ე წელი | № 205 (10599) | კვირა, 2 სექტემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

კომუნისტთა აქტივობის ზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალება

კომუნისტური პარტია საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა. პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა წარმატებით ააშენა სოციალიზმი და მტკიცედ მიდის წინ კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ.

პარტიისა და ხალხის მონოლითური ერთიანობა კიდევ უფრო განმტკიცდა და შედეგად სკკპ XX ყრილობის შემდეგ, რომელმაც ჩვენი საშობლოს შემდგომი წინსვლისა და განვითარების გრანდიოზული პროგრამა დაგვისახა. პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხილვამ და შესწავლამ, პარტიული ორგანიზაციების ბრძოლამ ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის როგორც არასოდეს ისე გააერთიანა, შეამჭიდროვა და დაარაზმა ჩვენი ქვეყნის მშრომელები თავიანთი ნაკადი ბელადისა და მასწავლებლის — მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, აღაფრთოვანა სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკები, საბჭოთა ინტელიგენცია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში ახალ მიღწევათა მოპოვებისათვის საბრძოლველად.

იმ დიდი ამოცანების შესრულება, რომლებიც სკკპ XX ყრილობამ დასახა, მოითხოვს, რომ თვითეული კომუნისტი აქტიურად მონაწილეობდეს პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში, მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძოდეს პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის, საქმით ასრულებდეს ავანგარდულ როლს შრომაში, აქტიურ მონაწილეობას იღებდეს იმ საწარმოს ან დაწესებულების საქმიანობაში, სადაც იგი მუშაობს.

კომუნისტების აქტივობისა და თვითმოქმედების განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა პარტიული დავალების მოფიქრებულად შერჩევა და განაწილება. თბილისის ქიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაცია დაუცხრომლად ზრუნავს იმისათვის, რომ ცოცხალ საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად ჩაბას პარტიის თვითეული წევრი და კანდიდატი. აქ კომუნისტები სისტემატურად ასრულებენ სხვადასხვა პარტიულ ან საზოგადოებრივ დავალებას. პარტბიუროო ცდილობს, რომ ყოველი დავალება, რომელიც კომუნისტს ეძლევა შესასრულებლად, გამოდიოდეს საწარმოს წინაშე მდგომი ამოცანებიდან, ხელს უწყობდეს პარტიული ძალების სწორად განაწილებას, საშუალებას აძლევდეს პარტიის თვითეულ წევრს და კანდიდატს უკეთესად გამოავლინოს თავისი უნარი და შესაძლებლობანი. პარტიული დავალების განაწილებისას პარტბიუროო მხედველობაში იღებს კომუნისტების სურვილს, გამოცდილებას და პოლიტიკურ მომზადებას. ამიტომ არის, რომ ქარხნის კომუნისტები აქტიურად მონაწილეობენ საწარმოს საქმიანობაში, პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში. აქტიურ სამეურნეო საქმიანობაში კომუნისტების ჩაბმის მიზნით პარტბიუროო მათ აძლევს აგრეთვე საწარმოო ხასიათის დავალებებს. მაგალითად, წელს საწარმოს წინაშე დადგა დიდად სპატიო და პასუხსაგები ამოცანა — რაც შეიძლება მოკლე ვადაში დაიწყოს ახალი ჩარხების სერიული გამოშვება. ამ ამოცანის შესრულების უზრუნველსაყოფად პარტბიუროო მოელაპარაკა კომუნისტებს, დაავალა მათ სათავეში ჩასდგომოდნენ ბრძოლას ახალი ჩარხების უმოკლეს ვადაში გამოშვებისათვის. ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს ჩარხების ნახაზების მომზადება. პარტბიუროო ხშირად აწყობს მიცემულ დავალებათა შესრულების შემოწმებას, ააშკარავებს ნაკლოვანებებს და ამ გზით ეხმარება კომუნისტებს მათ წინაშე დასახული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში. ყოველივე ეს ამაღლებს პარტიის წევრებისა და კანდიდატების აქტივობას, ზრდის მათში პასუხისმგებლობის გრძნობას.

პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს კომუნისტებიც. აქ პარტიული დავალების სწორად და მოფიქრებულად განაწილების შედეგად განუხრელად მაღლდება კომუნისტების აქტივობა და ინიციატივა, ისინი იზრდებიან პრლიტიკურად და იწრთობიან იდეურად. ამის კარგი მაგალითია კომუნისტ შ. კუხალეიშვილის ზრდა და დაწინაურება. 1950 წელს იგი ქარხანაში რიგითი მეფოლადე იყო. საამქროს პარტიულმა ორგანიზაციამ იგი ჯერ აგიტატორად გამოჰყო. მართალი, მიზანდასახული სააგიტაციო საუბრებით, რომლებსაც მჭიდროდ უკავშირებდა საწარმოს ყოველდღიურ ცხოვრებას, შ. კუხალეიშვილმა მუშების დიდი სიყვარული დაიმსახურა. 1951 წელს მოწინავე მეფოლადე უკვე პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის წევრი იყო, ხოლო 1955 წლის ბოლოს მარტენის საამქროს პარტბიუროს მდივნად აირჩიეს. პარტიული დავალების კეთილსინდისიერად შესრულება, მასებში პოლიტიკური მუშაობის გამოცდილების შეძენასთან ერთად მეფოლადე შ. კუხალეიშვილს საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებაშიც დაეხმარა. გახდა რა მარტენის საამქროს ოსტატი, იგი გატაცებით დაეწაფა მეტალურგიის საქმის შესწავლას. ამჟამად წარმატებით სწავლობს დაუსწრებლად თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რუსთავის საკონსულტაციო პუნქტში შავი მეტალურგიის ფაკულტეტის მესამე კურსზე.

სამწუხაროდ, ბევრგან ჯეროვნად ვერ აფასებენ პარტიული დავალების როლს კომუნისტთა აქტივობის ზრდის საქმეში. ცოტა როდია ისეთი პარტიული ორგანიზაცია, სადაც კომუნისტები ჩაბმულნ არ არიან აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში, სისტემატურ კონტროლს არ აწესებენ დავალებათა შესრულებაზე. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს საწარმოს მთელი კოლექტივის საქმიანობაზე. ხაშურის რაიონის სოფელ ცედანის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობაში 18 კომუნისტია. მაგრამ კომუნისტთა ძალები აქ ცუდად არის გამოყენებული. პარტბიუროო (მდივანი ლ. გოგალაძე) ყურადღებას არ აქცევს კომუნისტების განაწილებას წარმოების გადამწყვეტ უბნებზე. პარტიის ბევრი წევრი და კანდიდატი გაურბის კოლმეურნეობაში შრომას. დაბალ დონეზე ეწყობა კრებები, რომელთა მომზადებაში ფართო მონაწილეობას არ იღებს პარტიული აქტივი. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დაბალი დონით აიხსნება ის, რომ კოლმეურნეობა შეუწყნარებლად ჩამორჩება. წელს აქ თვითეულ ჰექტარზე 6 ცენტნერი პურეულის მოსავალი მიიღეს, არ სრულდება წველადობის გეგმა.

არც ისე იშვიათად შეხვდებით ასეთ ფაქტს: ერთ კომუნისტს რამდენიმე საქმის შესრულებას ანდობენ, სხვებს კი დავალების მიუცემლად ტოვებენ. პარტიული დავალების განაწილება უნდა მოხდეს თანაბრად, ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა კომუნისტებთან, პარტიის წევრობის კანდიდატებთან ყოველდღიურ მუშაობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებებმა შინაპარტიული დემოკრატიის ურყევად დაცვისათვის, ხელმძღვანელობაში კოლექტიურობის ლენინური პრინციპების აღდგენისათვის შემდგომ განამტკიცა პარტიის მონოლითური ერთიანობა, აამაღლა მისი როლი კომუნიზმის მშენებლობაში. პარტიულმა ორგანიზაციებმა ისე უნდა მოაწყონ მუშაობა, რომ განუხრელად იზრდებოდეს პარტიის წევრთა აქტივობა და თვითმოქმედება, განუწყვეტლივ მაღლდებოდეს მათი ავანგარდული როლი, რომ ყველა კომუნისტი აქტიურად მონაწილეობდეს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მუშაობაში. პარტიული მასების აქტივობის ზრდა სკკპ XX ყრილობის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელების საწინდარია.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. ი. დუდინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლის ამხ. ი. ი. დუდინის დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად ამხ. იური ივანეს-ძე **დუდინი** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი, 1956 წ. 31 აგვისტო.

დეპეშების გაცვლა სსრ კავშირისა და ინდონეზიის რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის

ინდონეზიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღის გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეებმა პ. პ. ლობანოვმა და ვ. ტ. ლაცისმა ამა წლის 16 აგვისტოს მისალოცი დეპეშები გაუგზავნეს ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტს სუკარნოს, ინდონეზიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ალი სასტროამიჯოიოსა და ინდონეზიის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს სარტონოს.

ამ მილოცვების პასუხად მიღებულია ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტის სუკარნოს, ინდონეზიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ალი სასტროამიჯოიოსა და ინდონეზიის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს სარტონოს დეპეშები.

ქვემოთ იბეჭდება დეპეშების ტექსტები.

მის აღმატებულებას გატონ სუკარნოს,
ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტს

ჯაკარტა

ინდონეზიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღის გამო გთხოვთ, თქვენ ბატონო პრეზიდენტო, და თქვენი სახით მთელ ინდონეზიელ ხალხს მიიღოთ საბჭოთა კავშირის ხალხების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პირადად ჩემი სახელით უაღრესად გულითადი მილოცვა და წარმატებათა და კეთილდღეობის საუკეთესო სურვილები.

საბჭოთა კავშირის ხალხები ინდონეზიელ ხალხს ეროვნული დღესასწაულის დღეს მხურვალედ უსურვებენ ახალ დიდ წარმატებებს დამოუკიდებელი და მშვიდობისმოყვარე ინდონეზიის მშენებლობაში.

კ. ვოროშილოვი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

1956 წლის 16 აგვისტო, მოსკოვი.

მის აღმატებულებას კ. ვოროშილოვს,
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

ინდონეზიის ხალხისა და პირადად ჩემი სახელით მინდა გულწრფელი მადლობა მოვახსენო თქვენს აღმატებულებას თავაზიანი მისალოცი დეპეშისათვის, რომელიც თქვენმა აღმატებულებამ გამომიგზავნა ინდონეზიის დამოუკიდებლობის დღის გამო.

სუკარნო,
ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

1956 წლის 25 აგვისტო, ჯაკარტა.

მის აღმატებულებას გატონ სასტროამიჯოიოს,
ინდონეზიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს

ჯაკარტა

ინდონეზიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღის გამო ნება მიბოძეთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, გადმოგცეთ საბჭოთა მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით გულწრფელი მოლოცვა.

საბჭოთა კავშირის მთავრობას, სურს რა ინდონეზიის ხალხის აყვავება და ბედნიერება, იმედი აქვს, რომ მეგობრობა და თანამშრომლობა, რაც სსრ კავშირსა და ინდონეზიას შორის არსებობს, კვლავაც ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების წარმატებებსა და კეთილდღეობას.

ნება მიბოძეთ მტკიცე რწმენა გამოვთქვა, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობა სამსახურს გაუწევს მშვიდობის განმტკიცებას მთელ მსოფლიოში.

ნ. ბულგანინი,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

1956 წლის 16 აგვისტო, მოსკოვი.

მის აღმატებულებას ნ. ბულგანინს,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი

ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობის, ინდონეზიის ხალხისა და პირადად ჩემი სახელით მხურვალე მადლობას მოგახსენებთ გულწრფელი მილოცვისა და საუკეთესო სურვილებისათვის, რაც თქვენმა აღმატებულებამ ესოდენ თავაზიანად გამოთქვა ჩვენდამი ინდონეზიის 17 აგვისტოს ეროვნული დღესასწაულის გამო. ჩემი მხრივ სულით და გულით ვუსურვებ აყვავებასა და კეთილდღეობას რუსეთის ხალხს და პირადად თქვენს აღმატებულებას. მე მეტად ბედნიერი ვარ ვითანამშრომლო ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის განგრძობაში მთელი მსოფლიოს მშვიდობის საერთო საქმისათვის.

ალი სასტროამიჯოიო,
ინდონეზიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი.

1956 წლის 22 აგვისტო, ჯაკარტა.

მის აღმატებულებას გატონ სარტონოს,
ინდონეზიის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს

ინდონეზიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღეს გადმოგცემთ თქვენ და თქვენი სახით ინდონეზიის რესპუბლიკის პარლამენტს ჩვენს მეგობრულ მოლოცვას და შემდგომ წარმატებათა სურვილებს.

პ. ლობანოვი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე.

1956 წლის 16 აგვისტო, მოსკოვი.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და ინდონეზიის რესპუბლიკის პარლამენტს შორის თანამშრომლობა სარგებლობას მოუტანს ჩვენს ხალხებს და მშვიდობის განმტკიცებას.

ვ. ლაცისი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე.

მის აღმატებულებას პ. ლობანოვს,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი

მადლობას მოვახსენებ თქვენს აღმატებულებას პირადად ჩემი და ინდონეზიის რესპუბლიკის პარლამენტის სახელით თქვენი აღმატებულების მოლოცვის გამო ინდონეზიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს.

ვიმედოვნებ, რომ ჩვენი თანამშრომლობა კიდევ უფრო მჭიდრო გახდება და წარმატებებს მიაღწევს ჩვენი ხალხების სასარგებლოდ და მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის ინტერესებისათვის.

სარტონო,
ინდონეზიის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე.

1956 წლის 28 აგვისტო, ჯაკარტა.

მის აღმატებულებას ვ. ლაცისს,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი

მადლობას მოვახსენებ თქვენს აღმატებულებას პირადად ჩემი და ინდონეზიის რესპუბლიკის პარლამენტის სახელით თქვენი აღმატებულების მოლოცვის გამო ინდონეზიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს.

ვიმედოვნებ, რომ ჩვენი თანამშრომლობა კიდევ უფრო მჭიდრო გახდება და წარმატებებს მიაღწევს ჩვენი ხალხების სასარგებლოდ და მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის ინტერესებისათვის.

სარტონო,
ინდონეზიის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე.

1956 წლის 28 აგვისტო, ჯაკარტა.

ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი დოქტორი სუკარნო ლენინგრადში

ლენინგრადი, 31 აგვისტო. (საკდესი). დღეს ლენინგრადში ჩამოვიდნენ ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო და მისი თანმხლები პირები. ინდონეზიელი სტუმრების შესახვედრად ათასობით ლენინგრადელი შეიკრიბა. ვაგზლის ბაქანი მორთული იყო ინდონეზიის, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ ალმებით, წითელი ქსოვილებით, რომლებზეც იყო მისასალმებელი წარწერები ინდონეზიულ და რუსულ ენებზე.

პრეზიდენტ სუკარნოსთან ერთად ლენინგრადში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე შ. რ. რაშიდოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი და სხვა ოფიციალური პირები.

საპატიო სტუმრებს შეხვდნენ ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. სმირნოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი ფ. რ. კოზლოვი და სხვები.

ნ. ი. სმირნოვი მიესალმა სტუმრებს საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და ლენინგრადის მცხოვრებთა სახელით.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა სუკარნომ.

— ჩვენ, ინდონეზიელი ერი, — განაცხადა მან, — რევოლუციის სტადიაში, ყველა ფორმის იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმისაგან განთავისუფლების სტადიაში ვიმყოფებით.

დიდად მოხარული ვარ, რომ ამ ქალაქში ჩამოვედი, რადგან ვიცი, რომ ლენინგრადი რუსეთის რევოლუციის ცენტრია, აქ დაიწყო რუსეთის დიდი რევოლუცია, რომელმაც მთელი მსოფლიო შესძრა.

სსრ კავშირში ჩვენი ჩამოსვლის მიზანია განვამტკიცოთ ინდონეზიელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობა, და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს მეგობრობა განმტკიცდება.

ნაშუადღევს დასვენების შემდეგ ინდონეზიელი სტუმრები შეუდგნენ ლენინგრადის გაცნობას. ისინი იყვნენ ლენინგრადის ლითონის ქარხანაში. ჰიდროტურბინის საამქროში დიდი მიტინგი გაიმართა. მიტინგზე გამოსულმა მუშათა კოლექტივის წარმომადგენლებმა მხურვალე სალამი გადასცეს ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტს და მისი სახით მთელ ინდონეზიელ ხალხს.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ინდონეზიის პრეზიდენტმა სუკარნომ.

საღამოს სტუმრები იყვნენ კონცერტზე ლენინგრადის ფილარმონიაში.

ლენინგრადი, 1 სექტემბერი. (საკდესის საკ. კორ.). მეორე დღეა ლენინგრადში სტუმრად არიან ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო და მისი თანმხლები პირები. დღეს ინდონეზიელი სტუმრები განაგრძობდნენ ლენინგრადის გაცნობას. დილით დოქტორმა სუკარნომ და მისმა თანამგზავრებმა მანქანებით იმგზავრეს პეტროდვორეცში, სადაც დაათვალიერეს პარკი და მისი განთქმული შადრევნები. აქ პრეზიდენტს გულთბილად შეხვდა ასობით ლენინგრადელი.

ლენინგრადს რომ დაბრუნდნენ, პრეზიდენტმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ინახულეს ლენინგრადის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტროპოლიტენი. მათ დაათვალიერეს ავტოვოს, ნარვის, პუშკინის, აჯანყების მოედნის სადგურები. შემდეგ ინდონეზიელმა სტუმრებმა ექსკურსია მოაწყვეს ქალაქში, იყვნენ ნევის სანაპიროზე, სასახლის მოედანზე და ქალაქის სხვა მოედნებსა და ქუჩებში.

დღეს პრეზიდენტმა სუკარნომ და მისმა თანმხლებმა პირებმა ინახულეს ვ. ი. ლენინის ოთახი სმოლნში.

თბილისში ჩამოვიდნენ საბერძნეთის პარლამენტის დეპუტატები

1 სექტემბერს ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა საბერძნეთის პარლამენტის დელეგაციის წევრთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს ყოფილი ფინანსთა მინისტრი, მმართველი პარტიის — „ეროვნული რადიკალური კავშირის“ (ერე) წევრი ლამბროს ეფტაქსიასი. ჩამოსულთა შორის არიან პარლამენტის დეპუტატები ა. აიდონასი, გ. ანდრიანოპულოსი, ი. პაპაილიუ, ლ. დერტილისი, ე. კეფალოიანისი, გ. სამარასი, ხ. ავრამიდისი, ე. ბაკლაჯისი.

აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო საბერძნეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. დ. კუპრაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. ს. როსტიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუტავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ი. ჩოგოვაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დ. ვ. მჭედლიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარე მ. მ. ლილაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე, საქართველოს სსრ მინისტრები ა. ლ. გუნია, მ. კ. ლომიძე, გ. ა. რობაქიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ნ. უ. ჯაში, დ. გ. მამაცაშვილი, ნ. ა. ჯავახიშვილი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახელით სტუმრებს მიესალმა ვ. დ. კუპრაძე.

საპასუხო სიტყვაში ლ. ეფტაქსიასმა მადლობა გამოთქვა გულითადი მიღებისათვის და თქვა, რომ დელეგაციის წევრები მოხარული არიან ესტუმრონ საქართველოს სს რესპუბლიკას, რომლის გაცნობა მათ დაიწყეს მოსკოვში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, სადაც დაათვალიერეს საქართველოს პავილიონი.

— ჩვენ იქ ვნახეთ, — განაცხადა შემდეგ ბ-ნმა ლ. ეფტაქსიასმა, — ბევრი კარგი რამ. თქვენში ბევრი რამ არის ისეთი, რომ შეიძლება შეგნატროთ. თქვენში და ჩვენში მარტო მცხუნვარე მზე და ლაჟვარდი ცა როდია. ჩვენ გვაქვს საერთო მისწრაფება — მშვიდობისადმი.

მალე ჩამოსვლის შემდეგ საბერძნეთის პარლამენტარებმა ვიზიტი გაუკეთეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ვ. დ. კუპრაძეს. საუბრის დროს მათ აინტერესებდათ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საკითხები.

ნაშუადღევს საბერძნეთის პარლამენტის დეპუტატები ეცნობოდნენ საქართველოს დედაქალაქის ცხოვრებას. მათ იმგზავრეს ქალაქში. სტუმრებზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა თბილისის გაცხოველებულმა, მზიანმა ქუჩებმა და მოედნებმა, მონუმენტურმა შენობებმა.

საბერძნეთის პარლამენტარები იყვნენ შამპანურის ღვინოების ქარხანაში. მათ დაათვალიერეს ქარხნის ნათელი, ვრცელი საამქროები, რომლებიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, გაეცნენ წარმოების ტექნოლოგიას. ქარხნის დირექტორმა ე. ე. ჩაფიძემ მათ აცნობა, რომ საწარმო გამოუშვებს 6-7 მილიონ ბოთლ შამპანურს. სტუმრებს სთხოვეს გაესინჯათ შამპანური ღვინო.

დელეგაციის მეთაურმა ლ. ეფტაქსიასმა აღნიშნა, რომ ქარხანაში მშვენივრად არის მოწყობილი წარმოება და უსურვა მის კოლექტივს წარმატება შრომაში.

საბერძნეთის პარლამენტარებმა ინახულეს საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. დელეგაციის ცალკეული წევრები იყვნენ სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში ქალაქ რუსთავში და თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტზე. (საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. დ. კუპრაძემ დარბაზობა გამართა საბერძნეთის პარლამენტის დეპუტატების პატივსაცემად

გუშინ, 1 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. დ. კუპრაძემ დარბაზობა გამართა საბერძნეთის პარლამენტის დეპუტატების პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ საბერძნეთის პარლამენტის დელეგაციის წევრები ლ. ეფტაქსიასის მეთაურობით.

დარბაზობაზე იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწენი, პრესის წარმომადგენლები.

დარბაზობის დროს ვ. დ. კუპრაძემ და ლ. ეფტაქსიასმა ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით.

დარბაზობამ გულთბილ, თავისუფალ ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

გადაჭრით აღმოვფხვრათ შეცდომები და ნაკლოვანებები პარტიულ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მუშაობაში

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე

შედგა თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. მოხსენებით „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში შეცდომებისა და ნაკლოვანებების და თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ“ გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

— პარტიის XX ყრილობამ, — თქვა მომხსენებელმა, — დაგმო სტალინის პიროვნების კულტი, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის უცხო, აღადგინა პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები და პარტიული ცხოვრების ნორმები, დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს აღმოფხვრან პიროვნების კულტის შედეგები პარტიული, სახელმწიფოებრივი და იდეოლოგიური მუშაობის ყველა დარგში.

მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა თავის დროზე არ გასწიეს მუშაობა იმისათვის, რომ ფართოდ განემარტათ მშრომელებისათვის სტალინის პიროვნების კულტის ანტიმარქსისტული არსი, ჯეროვანი მნიშვნელობა არ მიანიჭეს იმ გარემოებას, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ახორციელებდა პიროწყვარდნილი მტერი, უცხოეთის დაზვერვის აგენტი ბერია და რომ პარტიული და სახელმწიფოებრივი მუშაობის ზოგიერთ მნიშვნელოვან უბანზე იყვნენ აშკარა ნაციონალისტები, რომლებიც ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ.

სარგებლობდნენ რა ბერიას მფარველობით, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და კომკავშირული მუშაკები მრავალი წლის განმავლობაში კონტროლისა და კრიტიკის გარეშე იყვნენ, რაც ხელს უწყობდა მლიქნელობის, მაამებლობის, შინაურულობის დანერგვას.

შემდეგ ამხ. მჟავანაძემ ილაპარაკა სერიოზულ ნაკლოვანებებზე პარტიულ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მუშაობაში. მან მოიყვანა მაგალითები და ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი და რაიონული კომიტეტები საკმაოდ ოპერატიულად და კონკრეტულად არ ხელმძღვანელობენ მრეწველობას, არ იჩენენ ჯეროვან ზრუნვას მშრომელთა საჭიროებებისათვის, არ ეწევიან გადამწყვეტ ბრძოლას საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევებთან, სპეკულაციასთან, კერძო მეწარმულ პრაქტიკასთან. ქალაქში ცუდად არის მოწყობილი ბოსტნეულით და პირველი მოთხოვნილების სხვა საქონლით ვაჭრობა. სრულიად არადამაკმაყოფილებლად წარმოებს საბინაო მშენებლობა. 1951-დან 1955 წლამდე განვლილ პერიოდში საბინაო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა შესრულებულია 67,6 პროცენტით. ქალაქის მოსახლეობას დააკლდა 76.588 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. საბინაო მშენებლობა უკეთესად არც წელს მიმდინარეობს: წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებულია სულ 26,8 პროცენტით.

კრების ყურადღების ცენტრში იყო განხილვა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანებისა, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან. აქტივზე ერთსულოვნად მოწონებულ იქნა ღონისძიებები, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა სტალინის პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევისათვის.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ნ. ჭახრაკიამ ილაპარაკა იმაზე, რომ სტალინის პიროვნების კულტმა რესპუბლიკაში განსაკუთრებით გაზვიადებული ფორმები და ნაციონალისტური ელფერი მიიღო, იგი აქტიურად იჩენდა თავს იდეოლოგიის ყველა სფეროში — ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტეკონომიის სამეცნიერო შრომებში, მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებებში. ქალაქის პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციები, მიუხედავად სკკპ XX ყრილობის მითითებებისა, სუსტად გაუმარტავდნენ მშრომელებს კომუნიზმის მშენებლობაში ხალხის მასების, კომუნისტური პარტიის როლს, პიროვნების კულტის ანტიმარქსისტულ არსს.

თავის გამოსვლაში ამხ. ჭახრაკიამ ილაპარაკა იმაზე, თუ რა უდიდესი ზიანი მიაყენა საქართველოს საზიზღარი ტრის ბერიას პარპაშმა, რომელიც ხელმძღვანელობაში გაძვრა შანტაჟის, ინტრიგების, მკვლელობათა გზით, პიროვნების კულტის შედეგად. მან აღნიშნა, რომ ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებებთან და მის კონკრეტულ მატარებლებთან, გადაჭრით გაუმჯობესონ ლექციური პროპაგანდა, თვალსაჩინო აგიტაცია, პოლიტიკური მუშაობა მასებში, მშრომელთა აღზრდა მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების სულისკვეთებით.

— მთავარი მიზეზი არსებული სერიოზული შეცდომებისა და ჩაგვრდნებისა, — თქვა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსმა დ. ივაშჩენკომ, — მდგომარეობს იდეოლოგიური მუშაობის თვალმინებებულობაში, იმაში, რომ ქალაქში ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა სტალინის პიროვნების კულტისა და მისი შედეგების მავნე გავლენის განმარტების საკითხებს. მასობრივ-პოლიტიკურ, პროპაგანდისტულ მუშაობაში ჩვენი ლექტორები, პროპაგანდისტები, აგიტატორები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები კმაყოფილდებოდნენ ზოგადი ღიმლებებით პიროვნების კულტის მავნეობის შესახებ, არ სცილდებოდნენ პრესაში უკვე გამოქვეყნებული სტატიების ფარგლებს, უგულებელყოფდნენ ადგილობრივ მასალებსა და ფაქტებს.

შემდეგ ამხ. ივაშჩენკომ სამართლიანად გააკრიტიკა პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მუშაობის სტილი. ბიუროს სხდომებზე ხშირად იხილავდნენ იდეოლოგიური მუშაობის, სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის, ლექციური პროპაგანდის, პოლიტიკური აგიტაციის, კლუბების, თეატრების, კინოს საქმიანობის საკითხებს, მაგრამ ეს განხილვა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ჩვენ გატაცებული ვიყავით ლექციების, მოხსენებების, საუბრების რაოდენობით და არა მთავარით — მათი შინაარსით, ქმედითობით.

ამხ. ივაშჩენკომ აღნიშნა, როგორც სერიოზული ნაკლი, ის, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი ცუდად ითვალისწინებდა ქალაქის მოსახლეობის მრავალეროვან შემადგენლობას.

პარტიის სტალინის რაიკომის მდივანმა გ. ალანიამ პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაკები გააკრიტიკა იმისათვის, რომ ისინი მთელ რიგ შემთხვევებში მავნე აჩქარებულობას იჩენდნენ. მაგალითად, დავალება იყო, რომ „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხილვა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ჩატარებულიყო სამ დღეში. ეს დადგენილება ჯერ კიდევ სათანადოდ არ განხილულა მუშათა კრებებზე, მოსახლეობაში, თუმცა ჩვენს პირობებში ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

აქტივის კრებამ პარტიის საქალაქო კომიტეტისა და რაიკომების ყურადღება მიაქცია იმას, რომ აუცილებელია გაუმჯობესდეს მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის წრიდან ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე კადრების შერჩევისა და დაწინაურების საქმე, ქალაქის მოსახლეობის მრავალეროვანი შემადგენლობის გათვალისწინებით.

მომხსენებელი და კამათში გამოსულნი ამბობდნენ, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, პარტიის საქალაქო კომიტეტი და რაიონული კომიტეტები სუსტად სწვდებიან შემოქმედებითი კოლექტივების, სამეცნიერო დაწესებულებების, მათი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას. ბურჟუაზიული ნაციონალიზმის რეციდივებს მეცნიერ მუშაკთა შრომებში, მწერალთა, პოეტთა, მხატვართა ნაწარმოებებში ხშირად ჯეროვანი წინააღმდეგობა არ ეწევა. დღემდე გასავალი აქვს სამეცნიერო შრომებს, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს, რომლებშიც გაპარებულია მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხო შეხედულებები, ანტიმარქსისტული პოზიციებიდან შუქდება საქართველოს წარსული, არასწორად არის ასახული ქართველი ხალხისა და რუსი ხალხის ისტორიული მეგობრობა, დაკნინებულია რუსეთთან საქართველოს შეერთების როლი და პროგრესული მნიშვნელობა. რესპუბლიკის მშრომელთა თანამედროვე ცხოვრება და საქმიანობა საჭირო განზოგადებას ვერ პოულობს სამეცნიერო შრომებში, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარემ ა. ბოჭორიშვილმა, ილაპარაკა რა ნაკლოვანებათა შესახებ იდეოლოგიურ ფრონტზე, აღნიშნა, რომ სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკებმა ჯერ კიდევ ძალიან ცოტა გააკეთეს იმისათვის, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან კრიტიკულად გადასინჯონ და გასწორონ შრომები ისტორიის, ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის, აგრეთვე ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში, რომლებშიც გამოთქმულია მცდარი შეხედულებები.

ამავე საკითხებს შეეხო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი ს. ლარეულიანი. მან აღნიშნა, რომ სტალინის პიროვნების კულტმა, რომელმაც საქართველოში განსაკუთრებით მახინჯი ფორმა მიიღო, უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენი მეცნიერი მუშაკების შემოქმედებითი აზრის განვითარებას. მრავალი წლის მანძილზე მეცნიერებაში გაბატონებული იყო აზრი სტალინის ყოვლისშემძლეობის. შეუმცდარობის შესახებ, რაც წარმოშობდა დოგმატიზმსა და მედავითნეობას, ბოჭავდა ჩვენი ფილოსოფოსების, ეკონომისტების, ისტორიკოსების აქტივობას. ყოველი ახალი აზრი, რომელიც გამოთქმული იქნებოდა არა სტალინის სიტყვებით და არა ისე, როგორც სტალინს აქვს, ანტიმეცნიერულად, ანტიმარქსისტულად ცხადდებოდა და ადევნებოდა. ქართველი ფილოსოფოსების მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებათა არსებობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ 10 წლის განმავლობაში ინსტიტუტს არ მოუმზადებია არც ერთი მონოგრაფია ფილოსოფიის საკითხებზე.

შემოქმედებითი ორგანიზაციების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეების მუშაობას მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები კრების სხვა მონაწილეებმაც.

— ქართველი მწერლები და პოეტები, — თქვა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პარტორგანიზაციის მდივანმა პოეტმა ი. ნონეშვილმა, — მათ შორის მეც, ყველაზე მეტად ვიყავით დაბრმავებული პიროვნების კულტით. სტალინის კულტმა იმდენად მოწამლა ჩვენი შეგნება, რომ ზოგიერთი ჩვენგანი დღემდე ვერ განთავისუფლებულა მისი მავნე გავლენისაგან. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენთვის ეს ინელი პროცესია. მწერლებისა და პოეტების ძირითადი მასა თუმცა ნელა, მაგრამ მაინც ახდენს თავისი მუშაობის გარდაქმნას ახალი ამოცანების შესაბამისად. ოცდაათზე მეტი მწერალი შემოქმედებითს მივლინებებშია, საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, მეექვსე ხუთწლედის მშენებლობებზე, ეწევა საბჭოთა ადამიანების ცხოვრების და შრომის შესწავლას, მუშაობს თანამედროვე თემებზე ნაწარმოებების შესაქმნელად.

ცნო რა სწორად კრიტიკა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის, მისი პარტიული ორგანიზაციის მისამართით, ამხ. ნონეშვილი შეჩერდა ნაკლოვანებებზე პარტიულ მუშაობაში და ამასთან დაკავშირებით გააკრიტიკა პარტიის საქალაქო კომიტეტი და კალინინის რაიკომი, მათი მდივნები, რომლებიც ძალიან იშვიათად ესწრებიან მწერლების მიერ გამართულ კრებებს, საღამოებსა და დისპუტებს.

სომხური დრამის თეატრის დირექტორმა ვ. ელიბეკიანმა მხურვალედ მოიწონა ღონისძიებები, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გაატარა პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დასაძლევად. მან კრებას უამბო თეატრის მუშაობაზე, მის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე, მოიყვანა სომხური და ქართული თეატრების შემოქმედებითი თანამეგობრობის მაგალითები და ილაპარაკა იმაზე, თუ რა კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ეს თანამეგობრობა მათს მუშაობაზე. მან პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნებს და სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს უსაყვედურა ის, რომ ისინი ნაკლებად იცნობენ შემოქმედებითს კოლექტივს, არ ესწრებიან მის სპექტაკლებს.

კრებაზე მწვავედ გაკრიტიკებულ იქნა პარტიის კალინინის რაიკომი, რომლის ტერიტორიაზე მოთავსებულია სამეცნიერო და შემოქმედებითი ორგანიზაციების უმრავლესობა, იმისათვის, რომ იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს მათს მუშაობას, არ ეწევა მასებში ჯეროვან ახსნაგანმარტებითს მუშაობას სტალინის პიროვნების კულტის მავნეობის შესახებ.

კამათში გამოსულმა პარტიის კალინინის რაიკომის მდივანმა ო. ნემსაძემ სწორად ცნო კრიტიკა რაიკომის მისამართით და ილაპარაკა იმაზე, თუ რა კეთდება სამეცნიერო და შემოქმედებითს ორგანიზაციებში იდეოლოგიური მუშაობის გასაუმჯობესებლად.

იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც შემოქმედებითი კოლექტივები, კულტურის მუშაკები ახორციელებენ პიროვნების კულტისა და მისი მავნე შედეგების წინააღმდეგ საბრძოლველად, ილაპარაკა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ა. გუნიამ. უკანასკნელ დროს სამინისტრომ გადასინჯა ლიტერატურის, ხელოვნების, დრამატურგიის, მუსიკის, ხალხური შემოქმედების, სახვითი ხელოვნების არსებული ფონდი. ერთგვარი რაოდენობა ნაწარმოებებისა, რომლებიც მანკიერია თავისი იდეური შინაარსით, ამოღებულია ხმარებიდან. ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა ამოცანა ახლა ის არის, რომ შექმნან ახალი, თანამედროვე, მადალიდეური ნაწარმოებები.

ამხ. გუნიამ ყურადღება მიაპყრო იმის აუცილებლობას, რომ განმტკიცებულ იქნას პოლიგრაფიული ბაზა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს რესპუბლიკის პოლიტიკური, მეცნიერული, მხატვრული და სასწავლო ლიტერატურის გამოცემას. შემდეგ მან ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რომელსაც ეწევა საგინისტრო მომძღვ რესპუბლიკების მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის მოწყობისათვის.

კრებაზე აღინიშნა, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, პარტიის საქალაქო კომიტეტი და რაიონული კომიტეტები არადამაკმაყოფილებლად ახორციელებენ პარტიულ ხელმძღვანელობას კომკავშირისადმი. ახალგაზრდობის იდეური აღზრდა თვითდინებაზეა მიშვებული, არსებითად ფორმალურ ხასიათს ატარებს. ახალგაზრდობაში ცუდად არის დაყენებული მუშაობა სტალინის პიროვნების კულტის ანტიმარქსისტული არსის განსამარტებლად. ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციები სუსტად არიან დაკავშირებული ახალგაზრდობასთან.

მოხსენების გამო კამათში გამოსულმა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალმა ი. ფედიუნინსკიმ თქვა, რომ საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა და რაიონულმა კომიტეტებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს ის გარემოება, რომ სტალინის პიროვნების კულტმა ღრმად გაიდგა ფესვი საქართველოს მოსახლეობის შეგნებაში. სტალინის პიროვნების კულტმა უდიდესი ზიანი მიაყენა სამხედრო მეცნიერებისა და ტაქტიკის განვითარებას. ყველა წარმატება კომუნისტურ მშენებლობაში, გამარჯვებანი დიდ სამამულო ომის ფრონტებზე, მიღწევები სოციალისტური მშენებლობის განვითარებაში, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამუშავებაში წარმოდგენილი იყო როგორც სტალინის მოღვაწეობის შედეგი, ხოლო კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის როლი დაკნინებული იყო.

ამხ. ფედიუნინსკიმ დაწვრილებით შეჩერდა სერიოზულ ნაკლოვანებებზე იდეოლოგიურ მუშაობაში, განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლებლებში, სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდაში.

— ძირითადი ბოროტება, — თქვა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ვ. კუპრაძემ, — რაც ახალგაზრდობაში იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობას ახასიათებს, ის არის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევძელით ღრმად განგვემარტა ახალგაზრდობისათვის უდიდესი ზიანი, რაც სტალინის პიროვნების კულტმა მიაყენა საბჭოთა ხალხს, ვერ შეგქმენით საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებისადმი, ზარმაცებისა და მუქთახორებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების ატმოსფერო. ხულიგნობის, თავაშვებულობის ფაქტებს, შრომისადმი უპატივცემულობის, აპოლიტიკურობის და სხვა არაჯანსაღ მოვლენათა და განწყობილებათა გამოვლინებებს ყოველთვის როდი ეწევა ორგანიზებული და ერთსულოვანი წინააღმდეგობა. უნივერსიტეტის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა ჯერ კიდევ არასაკმაოდ მუშაობენ იმისათვის, რომ სტუდენტი ახალგაზრდობა აღზარდონ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

კამათში გამოსულმა აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მოწინავე მუშამ რ. საველიევამ მხურვალედ მიიწონა ღონისძიებები, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევისათვის. მან გააკრიტიკა ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მუშათა საჭიროებისა და მოთხოვნებისადმი არასაკმაო ყურადღებისათვის, ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ჯეროვანი ზრუნვის უქონლობისათვის. ამხ. საველიევამ თქვა, რომ პარტიის XX ყრილობის შემდეგ, რომელზეც მთლიანად აოდგენილ იქნა კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები, გაიზარდა მშრომელთა აქტივობა, ისინი უფრო მეტ შემოქმედებითს ინიციატივას იჩენენ. ამან კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა წარმოებაზე.

მშრომელთა ბრძოლას პიროვნების კულტის მძიმე შედეგების დაძლევისათვის მასებში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლებას მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები პარტიის ლენინის რაიკომის მდივანმა კ. გოგლიძემ, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის უფროსმა გ. ვარდოსანიძემ, პარტიის მოლოტოვის რაიკომის მდივანმა ი. შევარდნაძემ, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ვ. კაჭარავამ, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის დირექტორმა ე. თავაძემ, კამვოლმაუდის კომბინატის ფეიქარმა ო. შაბუნინამ, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორმა გ. ბერძენიშვილმა და სხვებმა.

იმ ნაკლოვანებებზე საშეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, რომლებიც სტალინის პიროვნების კულტმა წარმოშვა, ილაპარაკა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ს. ჩხარტიშვილმა. მან აღნიშნა, რომ მშრომელთათვის პიროვნების კულტის ანტიმარქსისტული არსის განსამარტებლად ფართოდ უნდა გამოვიყენოთ პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის ყველა ფორმა. ამ საქმეში აქტიურად უნდა ჩაებან საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის მდივნები და ბიუროს წევრები, პარტიის რაიკომების მდივნები, მინისტრები, მათი მოადგილეები — ყველა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა ვ. ჯანჯღავამ ილაპარაკა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანებზე პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევისათვის ბრძოლაში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მისმა გამოსვლამ ვერ დააკმაყოფილა აქტივის კრება. მან არსებითად არაფერი არ თქვა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც საჭიროა მიღებულ იქნას სპეკულაციის, ხულიგნობის, დატაცების წინააღმდეგ საბრძოლველად, ქალაქში წესრიგის დასამყარებლად.

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ ჩაიარა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა საქმიანი, პრინციპული კრიტიკის ვითარებაში. მოხსენების გამო კამათში გამოვიდა 24 კაცი. ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში აქტივის კრებამ პირობა მისცა სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების ერთგული თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია სწორ ბოლშევიკურ დასკვნებს გააკეთებს ნაკლოვანებებიდან, რომლებიც პრაქტიკულ საქმიანობაში დაუშვეს პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა, აამაღლებს იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის დონეს, დარეზმავს მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას — ქალაქის ყველა მშრომელს სკკპ XX ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების შესასრულებლად.

თბილისელ მოსწავლეთა ზეიმი

1 სექტემბერი საზეიმო დღეა მოსწავლეთა ცხოვრებაში. დაიწყო ახალი სასწავლო წელი. ჩვენში უკვე ტრადიციად დამკვიდრდა ახალ სასწავლო წელს ზეიმით შევეგებოთ, ახალი სიხარული განვიცადოთ მისი დადგომით, ერთმანეთს შევეფიცოთ: გვიყვარდეს სწავლა, გვიყვარდეს შრომა...



1 სექტემბერი...

თბილისის „დინამოს“ სტადიონი საზეიმოდ გამოიყურება. მისკენ მიიჩქარიან არა მარტო მოსწავლეები, არამედ პედაგოგებიც და მშობლებიც. მოსწავლეებთან სტუმრად მოვიდნენ პარტიული, კომკავშირული მუშაკები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საწარმოთა და თბილისის საზოგადოებრივობის წარმომადგენლები.

ზეიმის მონაწილეებით ივსო სტადიონის ტრიბუნები. მოსწავლეები კვლავ ხვდებიან ერთმანეთს ზაფხულის არდადეგების მხიარულად გატარების შემდეგ. ფიზიკურად გამოწრთობილნი, მზით გარუჯული სახეებით, ახალი ენერგიით დაბრუნდნენ ისინი დედაქალაქში. რამდენი საუბარი იმართება საინტერესოდ გატარებული ზაფხულის, ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის შესანიშნავი კერების, შორეულ ტურისტულ ლაშქრობათა შესახებ!

ტრიბუნების თავზე ალისფერ ტილოებზე წარწერილია მისალმებანი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბატივსაცემად. ერთ-ერთი ტრანსპარანტი მიმართულია სტადიონზე შეკრებილი მოსწავლეებისადმი: „გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!“

მოსწავლეთა საზეიმო საღამოს განსაკუთრებულ აცხადებს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. მელაძე.

სიტყვა ეძლევა პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანს ბ. გეგეშიძეს. იგი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, პარტიის თბილისის კომიტეტის და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის დავალებით და სახელით ულოცავს მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლის დაწყებას და უსურვებს ახალ წარმატებებს სწავლასა და შრომაში.

ამხ. გეგეშიძე ლაპარაკობს მოზარდი თაობის აღზრდისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვაზე, რამაც თავისი ნათელი გამოხატულება ჰპოვა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების, სწავლების პოლიტექნიზაციის, სკოლა-ინტერნატების შექმნის, სწავლის ფულის გაუქმების შესახებ. იგი მოუწოდებს თბილისელ მოსწავლეებს ბეჯითად ისწავლონ, წარმატებით დაეუფლონ მეცნიერებათა საფუძვლებს, მოემზადონ სამშობლოს საკეთილდღეო თავდადებული შრომისათვის.

— საბჭოთა სკოლის წინაშე, — ამბობს ამხ. ბ. გეგეშიძე, — ახალი, დიადი ამოცანები დგას. პარტიის XX ყრილობამ მოითხოვა ავიმაღლოთ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონე, განვამტკიცოთ სკოლის კავშირი წარმოებასთან, ცხოვრებასთან, აღვზარდოთ მოზარდი თაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ამ ამოცანების შესასრულებლად უნდა დაირაზმოს მასწავლებელთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი. სკოლა ყურადღების ცენტრში უნდა დააყენონ პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე [illegible] ბაზე და ამასთან სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვანებებზე, პრაქტიკულ სწავლების მოწყვეტაზე, პოლიტექნიკური სწავლების გაუმჯობესებაზე, მოსწავლეთა შორის დისციპლინის განმტკიცების აუცილებლობაზე.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივის სახელით სიტყვას ამბობს პროფესორი ვ. თოფურია. იგი მოუწოდებს ახალგაზრდობას დაეუფლოს მშობლიურ ენას, ღრმად შეისწავლოს რუსული ენა, აგრეთვე უცხო ენები.

პოეტი იოსებ ნონეშვილი მოსწავლეებს გასცემს ქართველი მწერლების მხურვალე სალამს. მან თქვა:

— დაე ხუთიანების ნამგლით მკიდეთ ცოდნის მოსავალს; მაგ ბატარა ხელებით თქვენც აშენეთ კომუნიზმი... ისწავლეთ ცხოვრების დიდი მეგზ�, შეიძინეთ არა მარტო ცოდნა, არამედ შრომისადმი სიყვარულიც.

ი. ნონეშვილი თავის სიტყვას ამთავრებს ლექსით.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საამქროს უფროსმა ნ. ნიქაშვილმა, 66-ე სკოლის მე-11 კლასის მოსწავლემ ი. ბიდლინსკაიამ, 103-ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ ლ. სარაჯევამ, მე-18 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლემ მ. საყვარელიძემ, 34-ე სკოლის დირექტორმა ე. აბგაროვამ და სხვ.

იწყება ნორჩ სპორტსმენთა გამოსვლები. ისინი ასრულებენ სხვადასხვა სპორტულ ვარჯიშს.

საღამოს დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი. მაყურებლები გულთბილად მიესალმნენ აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრის და საქართველოს სსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გამოსვლას.

საზეიმო საღამო დამთავრებულია. მოსწავლეები სტადიონის ტრიბუნებს ტოვებენ ამ რწმენით, რომ ბეჯითი სწავლით, სანიმუშო ყოფაქცევით გაახარებენ მშობლების გულს და საყვარელ სამშობლოს.

სურათებზე: ზემოთ — სიტყვას ამბობს მე-18 სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე მ. საყვარელიძე; ქვემოთ — მოსწავლეები ასრულებენ ცეკვა „ქართულს“.

ფოტო ვ. უზნაძისა.

დაფნის ფოთოლი გეგმის გადამეგებით

ზუგდიდი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობები და მოსახლეობა სახელმწიფოს დიდი რაოდენობით აბარებენ დაფნის ფოთოლს. ზუგდიდის რაიკოოპკავშირის დამზადების კანტორამ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 6 ტონა ფოთოლი ჩააბარა.

კახათის სოფლის კოოპერატივმა დაფნის ფოთლის დამზადების გეგმა 115 პროცენტით შეასრულა. დიდი რაოდენობით დაამზადეს დაფნა აგრეთვე სოფლების ცაიშის, ორჯონიკიძისა და დარჩელის კოოპერატივებმა.

დაფნის ფოთლის დამზადება წარმატებით გრძელდება.

31 აგვისტო

ჩოხატაურის რაიონი

ფუნა ციწიცაძე მუშაობს გორაბერეულის კოლმეურნეობაში. მან მოკრიფა 48 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. სულ მოკრეფილი აქვს 3.780 კილოგრამი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.000 კილოგრამისა. მისი ვალდებულებაა კიდევ მოკრიფოს 1.000 კილოგრამზე მეტი.

ეთერ მამალაძემ ხიდისთავის კოლმეურნეობაში მოკრიფა 65 კილოგრამი ჩაის ნედლეული. სულ მოკრეფილი აქვს 5.750 კილოგრამი, გეგმა კი 2.800 კილოგრამს ითვალისწინებდა.

ნადია ჩხიკვაძემ გეგმით უნდა მოეკრიფა 1.800 კილოგრამი ჩაი, უკვე მოკრეფილი აქვს 2.880 კილოგრამი. მან ვალდებულება იკისრა სულ სეზონში მოკრიფოს 5.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. დღეში კრეფს 60 კილოგრამს.

თინა უაბეიშვილმა გორაბერეულის კოლმეურნეობაში მოკრიფა 52 კილოგრამი ჩაის ნედლეული. გეგმით უნდა მოეკრიფა 1.500 კილოგრამი, უკვე მოკრიფა 2.370 კილოგრამი და იბრძვის სეზონში 4.500 კილოგრამი ჩაის ფოთლის მოკრეფისათვის.

ახალგაზრდეგი საწარმოეგში მიდიან

საქართველოს ახალგაზრდები მხურვალედ გამოეხმაურნენ პარტიის მოწოდებას იმის შესახებ, რომ საშუალო სასწავლებლებში სწავლის დამთავრების შემდეგ წავიდნენ საწარმოებში, ტრანსპორტზე, მშენებლობებზე სამუშაოდ, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, ამავე დროს განაგრძონ დაუსწრებლად მეცადინეობა უმაღლესი ცოდნის მისაღებად.

წელს განსაკუთრებით მასობრივი გახდა საშუალო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა მისწრაფება მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში, აგრეთვე ახალმშენებლობებზე მუშაობისაკენ. იშვიათია საწარმო, სადაც არ ჰყავდეთ ახალმისულები, უმთავრესად საშუალო სასწავლებლების კურსდამთავრებულთაგან.

როგორ შეხვდნენ და ხვდებიან ამ ახალმისულებს, უქმნიან თუ არა მათ საწარმოებში და მშენებლობებზე პროფესიების დაუფლებისათვის, უმაღლეს სასწავლებლებში დაუსწრებლად სწავლებისათვის შესაფერის პირობებს?

თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატში ახალმისულ საშუალო კურსდამთავრებულებს ყოველთვის გულისხმიერად ხვდებიან, განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობიან..

ამას წინათ კომბინატში ხუთი ახალგაზრდა მივიდა. ესენი იყვნენ საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულნი ნ. გოგოჭური, ს. გუდაშვილი, მ. ძელიბაშვილი, ნ. ბანცაური და თ. ჩიხორია. ისინი კომბინატის დირექტორს ამხ. ნ. თუშიშვილს წარუდგინეს.

— საფეიქრო საქმე, — დაიწყო საუბარი დირექტორმა, — მრავალ პროფესიას შეიცავს. თქვენ რომელი უფრო გიზიდავთ?

— თვითონაც არ ვიცით! ოღონდ გვინდა ვიმუშაოთ, საქმეს პრაქტიკულად დავეუფლოთ და შემდეგ დაუსწრებლად ვისწავლოთ პოლიტექნიკური ინსტიტუტის საფეიქრო ფაკულტეტზე.

დირექტორი მათ ესაუბრა სხვადასხვა პროფესიის ფეიქართა მუშაობის თავისებურებაზე, მოუწონა ჭაბუკებს განზრახვა და აღუთქვა შესაძლო დახმარების გაწევა. შემდეგ ახალმისულები ჩამოატარეს საამქროებში, გააცნეს შარშან სამუშაოდ მოსული კურსდამთავრებულნი, რომლებიც ახლა წარმატებით მუშაობენ.

შარშან ფაბრიკაში სამუშაოდ მოსული გ. ქობალავა, წელს კომბინატის ერთ-ერთი მოწინავე ადამიანია. ყოველთვიურ დავალებებს 130-140 პროცენტით ასრულებს, 900 მანეთზე მეტ ხელფასს იღებს და საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს. შარშან, სანამ საწარმოში მუშად მოეწყობოდა, უმაღლეს სასწავლებელში შესვლა ვერ მოახერხა. წელს კი საფეიქრო ფაკულტეტზე სწავლობს.

გ. ქობალავას მაგალითმა კიდევ უფრო გაუძლიერა ახალმოსულებს მუშაობის ხალისი და პროფესიების დაუფლების სურვილი.

ყურადღებითა და მზრუნველობით არიან გარემოსილნი ახალმოსული ახალგაზრდა მუშები თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატშიც.

შ. ყურაშვილმა შარშან დაამთავრა საშუალო სკოლა და ატესტატის მიღებისთანავე სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში მივიდა სამუშაოდ. იგი მოსამზადებელ საამქროში მზეთავად მუშაობს. წელს შ. ყურაშვილი საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიიღეს და სწავლობს ბოჭკოვანთა მექანიკასა და ტექნოლოგიას. მასთან ერთად უმაღლეს სასწავლებელში წელს მიიღეს ს. კატაჩინა, დ. შაბანოვა და სხვები. თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის (დირექტორი ე. თავაძე, პარტორგანიზაციის მდივანი გ. ხახიაშვილი, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ი. კობახიძე) ხელმძღვანელთა გულისხმიერებისა და მზრუნველობის შედეგად ახალგაზრდები ამ საწარმოს მასობრივად ეტანებიან. მარტო ამ ბოლო ხანებში აქ სამუშაოდ მიიღეს საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებული 30-ზე მეტი ახალგაზრდა.

მაგრამ ყველა საწარმოში ასე გულისხმიერად როდი ხვდებიან ახალმისულებს. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდებს ლითონდამუშავების პროფესიებისადმი დიდი ლტოლვა აქვთ, ზოგიერთი ლითონდასამუშავებელი საწარმოს ხელმძღვანელები საჭირო მზრუნველობას არ იჩენენ ამ ლტოლვის წახალისებისათვის. ცუდ მაგალითს იძლევა ამ მხრივ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა, სადაც ახალმისულებს ჯერ-ჯერობით ყურადღებას არ აქცევენ, ვერ უქმნიან ხარატის, მღარავის, ზეინკლის, ლითონმსხმელის და მთელი რიგი სხვა პროფესიების დაუფლებისათვის საჭირო პირობებს. ამის შედეგი იყო, რომ შარშან მოსული ახალგაზრდები ქარხნიდან წავიდნენ, ხოლო იმისათვის, რომ წელს მისულნიც არ დააფრთხონ, არაფერი არ გაუკეთებიათ.

საშუალო სასწავლებლების კურსდამთავრებულთადმი მზრუნველობის გამოჩენა საწარმოთა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმეა. მათ უნდა შეუქმნან ჩვენს მუშა ახალგაზრდობას ნაყოფიერი შრომისა და ბეჯითი სწავლის პირობები.

ზ. ჩილაჩავა.

* * *

სურათზე: თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში სამუშაოდ მისულ, საშუალო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) — ა. ცხოვრებოვი, ვ. პოპოვა, თ. კანდელაკი, მ. ხანოვიჩი, ნ. ქავთარაძე, ნ. ბედიანაშვილი და ბ. ცხოვრებოვა.

ფოტო შ. გოქაძისა.

ᲓᲐᲑᲐ ᲙᲐᲡᲞᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲝᲜᲧᲝᲑᲐ

ᲙᲐᲡᲞᲘ. **(საკ. კორ.).** ყოველწლიურად იზრდება და ლამაზდება დაბა კასპი. მიმდინარეობს რკინიგზის სანაპირო ქუჩის მთლიანი რეკონსტრუქცია. მოასფალტებულ ქუჩის ს

საერთაშორისო დემოკრატიის ქვეყნების ჭეშმარიტ მოძმეობისთვის

შავით თეთრზე

არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც სურთ, რომ ყველაფერი შავით თეთრზე იყოს დაწერილი. სხვანაირად ვერაფერში დაიჯერებთ. სულ ერთია, რაზე იქნება ლაპარაკი — საგადასახადო უწყებებზე, ტექნიკაზე, ერთი სიტყვით, რაც უნდა იყოს. სტატისტიკა ძალევა ისეთ საინტერესო ფაქტებს, რომლებიც ასე ვთქვათ, ყველას შეუძლია გასინჯოს. ჩვენც ღრმად დავაკვირდეთ ზოგიერთ ციფრს. ეს საჭიროა.

1955 წელს ჩეხოსლოვაკიაში ერთ სულ მოსახლეზე სოციალური უზრუნველყოფის ხაზით მოდიოდა 897 კრონი ფულად და ნივთების სახით, შვეიცარიაში შედარებითს ერთეულებში — 750, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში —650, ინგლისში — 600, დანიაში — 500 და ა. შ. ამასთან ლაპარაკია მხოლოდ ისეთ სახელმწიფოებზე, რომლებსაც ყველაზე პროგრესული კანონმდებლობა აქვთ.

ბურჟუაზიის აგენტურა, მათ შორის რადიოსადგური „თავისუფალი ევროპა“ თხზავს მრავალ ცხრილსა და შედარებას, რომლებითაც სურს დოკუმენტალურად დაამტკიცოს, რომ წინათ ხალხი „ხელგაშლილად“ ცხოვრობდა. მაგრამ ისინი, თითქოს განგებ, გამოტოვებენ ისეთ ფაქტებს, რომლებიც საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. მაგალითად, 1937 წელს ჩეხოსლოვაკიაში 1.000 — სულ მცხოვრებზე მოდიოდა 13,1 სიკვდილი, 1955 წელს კი მხოლოდ 9,6. ბელგიაში იმავე წელს ამ ციფრმა შეადგინა 12,7, ავსტრიაში — 12,1, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — 10,8, ინგლისში — 11,7, შვეიცარიაში — 10,1. კაპიტალისტურ ქვეყნებში რომ კარგი ცხოვრება ჰქონოდა ხალხს, სიკვდილიანობა იქ არ იქნებოდა ასე მაღალი.

ცნობილია ფაქტი, რომ ჩვენში ომამდელ წლებთან შედარებით მეტი ბავშვი იბადება. მაგრამ არ იქნებოდა ზედმეტი მოგვეყვანა სხვადასხვა ქვეყნების მოსახლეობის ზრდის შედარება:

1.000 სულ მოსახლეზე ცოცხლად დარჩენილი ახალდაბადებული ბავშვების რაოდენობა:

ჩეხოსლოვაკიაში	20,2
ავსტრიაში	15,5
ბელგიაში	16,8
დანიაში	17,3
გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში	15,7
შვეიცარიაში	17,1
ინგლისში	15,4
საფრანგეთში	18,8
იტალიაში	17,9
შვეციაში	14,6

RUDÉ PRÁVO

როგორც ვხედავთ, კაპიტალისტური ქვეყნებისათვის ეს ცხრილი არ არის მაინცდამაინც სასიამოვნო. მაგალითად, დანიაში, რომლის შესახებ აქაოდ გაბატონებულია აზრი, რომ იქ ხალხი კარაქსა და ყველში ცურავსო, მოსახლეობის მატება ოდნავ მეტია, ვიდრე ჩეხოსლოვაკიაში იყო ყველაზე საშინელ წლებში. იგივე ითქმის შვეიცარიაზე, თავი რომ დავანებოთ შვეციას. და ეს ერთგვარად ასახავს ცხოვრების პირობებს. რატომ ეშინიათ კაპიტალისტურ ქვეყნებში ბავშვებისა? იმიტომ, რომ იქ ისე ლაპარაკობენ, როგორც ოდესღაც ჩვენშიც ამბობდნენ: „რატომ უნდა შემოვისიო ბავშვები, როდესაც მეც არ ვიცი ხვალ ვავიტან თუ არა თავს?“. ადამიანები იქ სკეპტიკურად უყურებენ მომავალს.

ჩეხოსლოვაკიაში ექიმების სიჭარბე იყო. ექიმები პირდაპირ კალთებს აგლეჯდნენ პაციენტებს. რამდენი კაცი მოდიოდა 1937 წელს ერთ ექიმზე?, დაახლოებით 1.200, 1953 წელს მოდიოდა მხოლოდ — 760, ხოლო 1955 წელს სულ 714. ბელგიაში 1953 წელს ერთ ექიმზე მოდიოდა 982 კაცი, დანიაში — 954, საფრანგეთში — 1.132, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში —751, ჰოლანდიაში — 1.166, შვეციაში — 1.357 და ა. შ.

თუ ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში ექიმები ნაკლებია, ვიდრე ჩვენში, საერთოდ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების შედარებას ისინი ორივე ფეხით მოიკოჭლებენ.

უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა რაოდენობა 100 ათას სულ მოსახლეზე:

ჩეხოსლოვაკიაში (1953)	364,6
„ (1955)	370,8
გერმანიის ფედ. რესპუბლიკაში (1953)	217,8
საფრანგეთში (1953–1954)	306,7
ინგლისში (1953–1954)	195,4
შვეიცარიაში (1954)	237,0
ავსტრიაში (1954)	193,0
იტალიაში (1954–1955)	285,8

არანაკლებ საგულისხმოა ზოგიერთი ცნობა კულტურის დარგიდან. მაგალითად, ჩეხოსლოვაკიაში 1955 წელს თვითეულმა მოქალაქემ კინო ინახულა წელიწადში საშუალოდ 13-ჯერ, ხოლო ჰოლანდიაში (1953 წელს) 6,1-ჯერ, ნორვეგიაში — 9,9, ავსტრიაში და დანიაში — 8,9, საფრანგეთში (1954 წელს) 8,9-ჯერ და ა. შ.

იქნებ ვინმემ თქვას: „იქ ხომ ყველას ტელევიზორი აქვსო“. ასეთი ილუზიების შექმნა შეუძლია მხოლოდ „თავისუფალ ევროპას“, რომელიც თავს გადაცემებში ტყუის, დასავლეთში ყოველ ოჯახში ტელევიზორი ისევე ჩვეულებრივია, როგორც მაგიდა და სკამი. ნამდვილად ასე როდია. არავინ არ უარყოფს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ტელევიზია ფართოდ არის გავრცელებული. მაგალითად, ინგლისში ერთ ტელევიზორზე მოდის 11 კაცი, საფრანგეთში — 192, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — 250, იტალიაში — 368. მიუხედავად ამისა, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ტელევიზია გაცილებით ადრე შემოიღეს, მთელ რიგ ქვეყნებში ტელევიზორები ნაკლებია, ვიდრე ჩვენში. შვეიცარიაში ერთ ტელევიზორზე მოდის 650 კაცი, დანიაში — 1.709, შვეციაში — 1.432, ჩვენში, ჩეხოსლოვაკიაში კი— 410. 1960 წლისათვის ეს ციფრი 30 კაცამდე უნდა შემცირდეს.

კიდევ განვაგრძობდით, მაგრამ შემდგომი შედარებებით და სტატისტიკური მონაცემებით თავს მოვაბეზრებდით მკითხველებს. უმჯობესია მათვე მივანდოთ დასკვნის გამოტანა. ციფრები საკმაოდ მეტყველებენ, საკმაოდ დამაჯერებელი არიან ამათთვისაც კი, ვისაც სურს, რომ ყველაფერი, ასე ვთქვათ, დაწერილი იყოს შავით თეთრზე.

ფრ. კოურეკი.

გაზეთი „რუდე პრავო“ 10/VIII — 56 წ.

მ. ა. შოლოხოვის ნაწარმოებთა გამოცემა ბრაზილიაში

მონტევიდეო, 31 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „ვოზ ოპერარია“ იუწყება, ამას წინათ ბრაზილიაში პორტუგალიურ ენაზე გამოვიდა მ. ა. შოლოხოვის რომანი „გატეხილი უღარი“. წინათ გამოიცა რომანი „წუნარი დონი“.

სსრ კავშირსა და იაპონიას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკების გამო

ლონდონში ყოფნის დროს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა მიიღო იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი. მ. სიგემიცუ და საუბარი ჰქონდა მასთან. ბ-ნმა მ. სიგემიცუმ განაცხადა, რომ სუეცის არხის საკითხზე ლონდონის კონფერენციის დამთავრების შემდეგ იგი გაემგზავრება ტოკიოში საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკების საკითხებზე მთავრობასთან საკონსულტაციოდ. (საკდესი).

საბჭოთა არმიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ინგლისში

ლონდონი, 31 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საღამოს ტელევიზიის პროგრამათა ბი-ბი-სიმ გადასცა საბჭოთა არმიის სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვანი ანსამბლის კონცერტი, რომელიც წინადღეს გაიმართა „ემპრეს-ჰოლში“ და ჩაწერილი იყო ფირზე. კონცერტის პროგრამაში იყო ხალხური სიმღერები და ცეკვები. კონცერტი დამთავრდა შოტლანდიური მეგობრობის სიმღერის შესრულებით.

კონცერტის დამთავრების შემდეგ ბი-ბი-სის კომენტატორმა განაცხადა რომ ინგლისის საზოგადოებამ შეიყვარა ანსამბლი. მან თქვა, რომ ანსამბლს საბჭოთა კავშირში თან მიაქვს კეთილი სურვილები ინგლისელი ხალხისა, რომელიც ესწრაფვის ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებას.

ლონდონში საბჭოთა მძლეოსნების დელეგაციის ხელმძღვანელის განცხადება

ლონდონი, 31 აგვისტო. (საკდესი). საბჭოთა მძლეოსნების დელეგაციის ხელმძღვანელმა კ. ვ. კრუპინმა დღეს საბჭოთა გუნდის სახელით ბრიტანეთის მძლეოსან-მოყვარულთა ასოციაციის ხელმძღვანელებს და გაზეთ „ნიუს ოფ უოლდის“ წარმომადგენლებს, რომლებიც სსრ კავშირ-დიდი ბრიტანეთის მძლეოსანთა მატჩის ორგანიზატორები არიან, გაუკეთა განცხადება, სადაც ნათქვამია:

„საბჭოთა მძლეოსნების დელეგაციის ერთ-ერთი წევრის — ოლიმპიური ასპარეზობისა და ევროპის ჩემპიონის, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის ნ. პონომარიოვას მიმართ ამას წინათ ლონდონში მოეწყო საზიზღარი პროვოკაცია, რომლის მიზანია სახელი გაუტეხოს მსოფლიოში ცნობილ ამ სპორტსმენს.

ამ პროვოკაციის შედეგად ნინო პონომარიოვა მოკლებულია შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მძლეოსანთა მომავალ მეგობრულ მატჩში.

საბჭოთა მძლეოსნების დელეგაცია სოლიდარობის გრძნობით და ნინო პონომარიოვას მიმართ ჩადენილი საზიზღარი პროვოკაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად უარს ამბობს მიიღოს მონაწილეობა ამ მატჩში და მიემგზავრება სსრ კავშირში“.

ნ. პონომარიოვასთვის საზელის გატეხის ცდა ის იყო, რომ ვინმე კერძო მაძებრის განცხადებით, რომელიც ლონდონის ერთ-ერთ მაღაზიაში მსახურობს, საბჭოთა სპორტსმენს თითქოს არ გადაეხადოს შეძენილი საქონლის ღირებულება 1 გორვანქა სტერლინგი და რამდენიმე შილინგი. ასეთი „მოწმობის“ საფუძველზე ინგლისის ხელისუფლებამ სცადეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცათ ნ. პონომარიოვა და ორდერიც კი გასცეს მის დასაპატიმრებლად.

გაიხსნა XII საჭადრაკო ოლიმპიადა

31 აგვისტოს მოსკოვში საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში გაიხსნა XII საჭადრაკო ოლიმპიადა.

ამ მოვლენისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება გახსნა ერთა ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ დ. პოსტნიკოვმა.

შეჯიბრების მონაწილეებს მიესალმა მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ზაიცევი.

თავის სიტყვაში საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტმა ფ. როგარდმა (შვეცია) განაცხადა:

— მოხარული ვართ ვნახოთ მოსკოვში 34 ეროვნული საჭადრაკო ორგანიზაციის წარმომადგენლები. ეს ჩვენი საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის შემადგენლობის ნახევარს აღემატება. ტურნირი მოსკოვში უეჭველია მთელი მსოფლიოს მოჭადრაკეთა დიდი მეგობრობის დემონსტრაცია იქნება. დაე თანამშრომლობისა და ამხანაგობის სულისკვეთებით იყოს გამსჭვალული დაძაბული სპორტული ბრძოლა.

საბჭოთა კავშირის საჭადრაკო სექციის თავმჯდომარემ საერთაშორისო ოსტატმა ვ. ალატორცევმა მიულოცა მონაწილეებს მსოფლიო პირველობაზე უდიდესი საჭადრაკო შეჯიბრების დაწყება.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა მარსელ ბერმანმა (საფრანგეთი).

ტურნირის მთავარმა არბიტრმა, საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ა. ილმაკუნასმა (ფინეთი) გამოაცხადა წილისყრის შედეგები.

მოჭადრაკეთა გუნდური შეჯიბრებანი მსოფლიო პირველობაზე მოეწყობა მოსკოვში, საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში 1-დან 25 სექტემბრამდე. გამარჯვებულ გუნდს მიენიჭება მსოფლიოს ჩემპიონის წოდება. იგი მიიღებს გარდამავალ ოქროს თასს, ხოლო მისი მონაწილენი დაჯილდოებულ იქნებიან ოქროს მედლებით. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები გადაეცემათ იმ გუნდების მონაწილეებს, რომლებიც მეორე და მესამე ადგილებს დაიკავებენ.

XII საჭადრაკო ოლიმპიადა გახსნილად ცხადდება. ორკესტრი ასრულებს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ჰიმნს და საბჭოთა კავშირის ჰიმნს.

საზეიმო კრების შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.

სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში

მოსკოვი, 31 აგვისტო. „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე „ა“ კლასის გუნდებს შორის. თამაშობდნენ დედაქალაქის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდები. გაიმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 4:0.

კიშინიოვი, 31 აგვისტო. ადგილობრივი „ბურევესტნიკისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ ანგარიშით 2:2.



ბოლო. ჭავჭავაძის ქუჩის ხედი.

ფოტო შ. კუკულავაძისა.

★

ახალი ვეტერინარული აფთიაქი

ბოლო. (საკ. კორ.). ლენინის ქუჩაზე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმოოვეტმომარაგების კანტორამ გახსნა ახალი ვეტერინარული აფთიაქი, რომელიც მოემსახურება ბოლოსა და მეზობელი რაიონების მეცხოველეობის ფერმებს.

აფთიაქი მომარაგებულია საჭირო მედიკამენტებით.

გავშვთა ჯანმრთელობის დასაცავად

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი სისტემატურად გზავნის კვალიფიციურ მეცნიერ მუშაკებს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში და სოფლებში ბავშვთა ჯანმრთელობის შესასწავლად და მეთოდური პრაქტიკული დახმარების გასაწევად. ისინი ეწევიან პრაქტიკულ მუშაობას, კითხულობენ მეცნიერულ-პრაქტიკული ხასიათის ლექციებს ადგილზე მომუშავე ექიმთა დასახმარებლად, ეხმარებიან დაავადებებთან ბრძოლის საქმის გაუმჯობესებაში.

წელს ასეთი ექსპედიცია გაიგზავნა ამბროლაურის, ონისა და ცაგერის რაიონებში და სოფლებში ინსტიტუტის ბავშვთა ფიზიოლოგიის, ჰიგიენისა და აღზრდის განყოფილების ხელმძღვანელის მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ე. გერის მეთაურობით.

ექსპედიციამ გულდასმით შეისწავლა და დახმარება გაუწია ცაგერის, წიფერჩის, ჩხუტელის და ლაჯანურჩეხის საექიმო უბნების 350 ბავშვს. ონის რაიონში ჩასულმა ექიმებმა დახმარება გაუწიეს ონის და სორის საექიმო უბნის 242 ბავშვს, შემდეგ კი ამბროლაურის, ჭრებალოს და ბუგეულის საექიმო უბნების 208 ბავშვს.

აღნიშნულ ადგილებში ექსპედიციის წევრები ღრმად სწავლობდნენ ბავშვთა ფიზიკურ, ფსიქომოტორულ განვითარებას და ცხოვრების პირობებს. ბავშვების გასინჯვის პროცესში ექიმები აძლევდნენ მშობლებს რჩევა-დარიგებას ბავშვის აღზრდის, კვების და მოვლის საკითხებზე. გარდა ამისა, ექსპედიციის წევრები სწავლობდნენ ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს, სამედიცინო პერსონალისათვის წაიკითხეს პოპულარული ლექცია-საუბრები მეცნიერულ პრაქტიკულ საკითხებზე, განსაკუთრებით ბავშვის კვების საკითხებზე.

ივანე ფრანკოს დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

3 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე საქართველოს მწერალთა კავშირის კლუბში (ბარიკადის, 13) გაიმართება დიდი უკრაინელი მწერლის და საზოგადო მოღვაწის ივანე ფრანკოს დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის კ. ლორთქიფანიძე. ივანე ფრანკოს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენებას გააკეთებს ი. წულუკიძე.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ერსპეტექტიული ცხრილი

(1956 წლის ბოლოს ბამოშვებ.)

(დასტამალული ცხრილი)

მოგებათა მე-4 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1956 წლის 26 აგვისტოს ქალაქ უფაროროდში.

მოგება ხვდა ხეხხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
160378	35*)	5.000	170320	1—50	500
160418	22*)	1.000	170406	1—50	200
160525	1—50	200	170514	35*)	1.000
160731	1—50	200	170767	09*)	1.000
160747	1—50	500	170839	1—50	500
160925	37*)	1.000	170906	1—50	200
161213	1—50	200	170935	1—50	200
161236	1—50	200	171093	1—50	200
161292	1—50	200	171098	1—50	200
161306	1—50	200	171112	1—50	200
161385	1—50	200	171228	17*)	5.000
161437	04*)	1.000	171337	1—50	200
161502	01*)	1.000	171417	1—50	200
161679	1—50	200	171450	37*)	1.000
161695	1—50	200	171676	1—50	500
161903	24*)	5.000	171753	23*)	1.000
161955	1—50	200	171878	1—50	200
161963	1—50	200	172024	36*)	1.000
162150	16*)	5.000	172192	33*)	5.000
162335	1—50	200	172223	1—50	200
162552	1—50	200	172332	15*)	1.000
162553	1—50	200	172368	38*)	1.000
162650	1—50	200	172564	39*)	1.000
162669	1—50	200	172640	44*)	5.000
162737	1—50	200	172759	37*)	5.000
162748	47*)	1.000	172792	1—50	200
162771	1—50	200	172800	1—50	200
162800	1—50	200	172840	1—50	500
162811	1—50	200	172857	12*)	1.000
162822	1—50	200	172933	1—50	200
162836	1—50	200	173029	1—50	200
162846	1—50	500	173045	1—50	200
162906	19*)	1.000	173076	1—50	200
162989	39*)	1.000	173272	50*)	1.000
163030	17*)	1.000	173400	1—50	200
163327	32*)	5.000	173482	36*)	1.000
163354	17*)	1.000	173497	32*)	1.000
163388	1—50	200	173564	19*)	1.000
163757	22*)	1.000	173577	1—50	200
163861	1—50	200	173711	1—50	200
163928	1—50	200	173868	1—50	200
164162	04*)	1.000	174117	1—50	200
164210	14*)	1.000	174194	1—50	200
164254	41*)	1.000	174367	1—50	200
164276	1—50	200	174432	1—50	200
164287	39*)	1.000	174578	1—50	200
164384	1—50	200	174641	1—50	200
164494	1—50	200	174696	42*)	5.000
164514	1—50	200	174885	1—50	200
164524	25*)	1.000	175042	50*)	1.000
164581	1—50	200	175141	19*)	10.000
164612	1—50	200	175511	1—50	200
164666	1—50	200	175804	11*)	1.000
164714	28*)	1.000	175898	1—50	500
165574	1—50	200	175920	1—50	200
165606	1—50	200	176076	1—50	200
165719	21*)	1.000	176103	1—50	200
165759	1—50	200	176221	1—50	200
165957	06*)	1.000	176237	18*)	1.000
166721	19*)	1.000	176598	1—50	200
166789	12*)	1.000	176674	15*)	1.000
166805	21*)	1.000	176912	24*)	1.000
166832	43*)	1.000	177070	1—50	200
166849	1—50	200	177309	1—50	200
167070	33*)	1.000	177736	1—50	200
167142	11*)	1.000	177834	1—50	200
167569	1—50	500	177838	1—50	200
167606	1—50	200	177845	1—50	200
167646	1—50	200	177982	1—50	200
167789	1—50	200	178038	1—50	200
167800	1—50	200	178231	42*)	1.000
167859	02*)	1.000	178341	49*)	1.000
167883	1—50	200	178397	1—50	200
167885	1—50	200	178500	1—50	200
167903	20*)	1.000	178879	19*)	1.000
167990	1—50	200	178912	42*)	1.000
168551	1—50	200	178945	1—50	200
169153	35*)	5.000	178993	1—50	200
169208	1—50	200	179104	1—50	200
169575	1—50	500	179208	1—50	200
169672	1—50	200	179234	1—50	200
169776	1—50	200	179263	1—50	200
169799	1—50	200	179322	1—50	200
169860	1—50	200	179369	42*)	1.000
169920	1—50	200	179535	1—50	200
169936	1—50	200	179541	1—50	200
170251	1—50	500	179649	1—50	200
170290	34*)	1.000			

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — იმერკარპატის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

დ. პ. პოპოვიჩი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი

ლ. ა. ვასილიევა.

შეხვედრა ხალხთა სპარტაკიადის მონაწილეებთან

დღეს, 2 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე „დინამოს“ სტადიონზე შედგება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მონაწილე საქართველოს სპორტული დელეგაციის წევრთა შეხვედრა დედაქალაქის მშრომელებთან.

პროგრამაშია საზეიმო ნაწილი, სპარტაკიადის მონაწილეთა დაჯილდოება, სპორტული გამოსვლები: ფეხბურთში, კრივში, ტანვარჯიშში, კლასიკურ, თავისუფალ და ქართულ ჭიდაობაში.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

ვიეტნამელი ხალხი ახალ ცხოვრებას აშენებს

დღეს სრულდება 11 წელი, რაც ვიეტნამი დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა. იგი შეიქმნა ძლევამოსილი სახალხო აჯანყების შედეგად, რომელმაც 1945 წლის აგვისტოში საფრანგეთის კოლონიის — ინდოჩინეთის ტერიტორიაზე იფეთქა.

1945 წლის 2 სექტემბერს ხანოიში დროებითმა მთავრობამ გამოაცხადა „ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია“. ვიეტნამელმა ხალხმა ახალი, თავისუფალი ცხოვრება დაიწყო.

1945 წლის შემოდგომაზე საფრანგეთის ჯარებმა ვიეტნამში საომარი მოქმედება გააჩაღეს. თითქმის ცხრა წელიწადს ვიეტნამელი ხალხი იარაღით ხელში წარმატებით იცავდა თავისი რესპუბლიკის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ვიეტნამელი ხალხის ეს თავგანწირული ბრძოლა სამშობლოს დასაცავად, რაც საბჭოთა კავშირის, ჩინეთისა და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთა ღრმა თანაგრძნობით სარგებლობდა, გამარჯვებით დამთავრდა. 1954 წლის ივლისში საგარეო საქმეთა მინისტრების ენევის თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

ინდოჩინეთში ომის შეწყვეტამ ვიეტნამელ ხალხს დაუსახა ახალი შესაძლებლობანი მშვიდობიან პირობებში ეკონომიური და კულტურული აღმავლობისათვის. საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა აქტიურად ახორციელებს თანმიმდევრულ საშვიდობო პოლიტიკას. იგი ზუსტად ასრულებს ენევის შეთანხმებებს.

ვიეტნამელმა ხალხმა, რომელიც მშრომელთა პარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელობით თანმიმდევრულად ახორციელებს დემოკრატიულ ეკონომიურ და კულტურულ გარდაქმნებს, მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა სახალხო მეურნეობის განვითარებაში, განსაკუთრებით ინდოჩინეთში ომის შეწყვეტის შემდეგ. ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით მშვიდობიანი შრომის ორი წლის განმავლობაში ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდი წარმატებებია მოპოვებული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში.

რესპუბლიკაში ძირითადად დამთავრებულია მიწის რეფორმა. მარცვლეულის წარმოება წელს შარშანდელთან შედარებით გაიზარდა 40 პროცენტით და ომამდელი წლების უმაღლეს ღონეს გადააჭარბა.

დიდი წარმატებებია მოპოვებული მრეწველობის დარგში. მეგობარ სახელმწიფოთა ძმური დახმარებით აღდგენილია ფაბრიკები და ქარხნები, აშენდა მრავალი ახალი სამრეწველო საწარმო. 1955 წელს 1954 წელთან შედარებით რესპუბლიკის სამრეწველო წარმოება გადიდდა 8-ჯერ, ხოლო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კიდევ 4-ჯერ 1955 წელთან შედარებით.

ორი წლის განმავლობაში აღდგენილ და რეკონსტრუქტირებულ იქნა ომის დროს დანგრეული 650 კილომეტრი სიგრძის რკინიგზა. შეკეთდა თითქმის ყველა ძველი და გაყვანილ იქნა ახალი გზატკეცილები. ტრანსპორტის სხვადასხვა სახით გადაზიდვის მოცულობა წელს შარშანდელთან შედარებით 50 პროცენტით გადიდდა.

სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის აღმავლობამ ხელი შეუწყო ვაჭრობის სწრაფ განვითარებას. 1955 წელს 1954 წელთან შედარებით საქონელბრუნვის საერთო მოცულობა გადიდდა 4-ჯერ. საგრძნობლად გაფართოვდა აგრეთვე რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობა.

აგვისტოს რევოლუციის გამარჯვებამ ახალი ფურცელი გადაშალა ვიეტნამის ეროვნული კულტურის განვითარების ისტორიაში. მშრომელთა პარტიამ და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მთავრობამ სახალხო განათლების შემდგომი აღმავლობის, ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნებისა და სპორტის განვითარების კონკრეტული პროგრამა დასახეს. ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა უახლოესი სამი წლის განმავლობაში, დაწყებული 1956 წლიდან, რესპუბლიკის მოსახლეობაში ლიკვიდირებულ იქნას წერა-კითხვის უცოდინარობა.

ვიეტნამელ ხალხს ღრმა სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობა აქვს საბჭოთა ხალხისადმი, რომელიც მას უანგარო, ძმურ დახმარებას უწევს სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაში.

შესანიშნავი წარმატებები, რომლებიც საბჭოთა კავშირმა კომუნიზმის მშენებლობის ყველა დარგში მოიპოვა, აღაფრთოვანებს ვიეტნამელ მშრომელებს. ვიეტნამელი ხალხი ცდილობს რაც შეიძლება ღრმად გაეცნოს მოწინავე საბჭოთა მეცნიერებასა და ტექნიკას. ლიტერატურასა და ხელოვნებას, სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებას.

მაშინ როცა ვიეტნამის ჩრდილოეთში სახალხო-დემოკრატიულმა რევოლუციამ უკვე გაიმარჯვა, სამხრეთ ვიეტნამში ძალაუფლება ხელში აქვს კომპრადორიული ბურჟუაზიისა და მსხვილ მიწათმფლობელთა ყველაზე რეაქციულ ნაწილს. თავიანთი ბატონობის შესანარჩუნებლად ისინი ყოველნაირად უშლიან ხელს ვიეტნამის გაერთიანებას. ამ საქმეში მათ მხარს უჭერენ ამერიკელი იმპერიალისტები.

სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალნი უხეშად არღვევენ ენევის შეთანხმებებს, უარს ამბობენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან კონსულტაციაზე, ქვეყნის გაერთიანებისათვის საყოველთაო არჩევნების მოწყობაზე.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ზედმიწევნით ზუსტად ასრულებს ენევის შეთანხმებებს. მან სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთ არაერთხელ მისცა წინადადება დაეწყოთ საკონსულტაციო კონფერენცია, რომელიც ვიეტნამის გაერთიანების მიზნით განიხილავდა თავისუფალი საყოველთაო არჩევნების მოწყობის საკითხს. მაგრამ ამერიკელ იმპერიალისტებს და პრომერიკულ ადმინისტრაციას სამხრეთ ვიეტნამში განზრახული აქვთ საშუდამოდ გაჰყონ ვიეტნამი და ამიტომ ხელს უშლიან საერთო ეროვნული თავისუფალი არჩევნების მოწყობას, რაც ენევის შეთანხმებებით იყო გათვალისწინებული.

მთელი ვიეტნამელი ხალხი მოითხოვს, რომ ვიეტნამის გაერთიანება განხორციელებულ იქნას საყოველთაო თავისუფალი არჩევნების გზით და მის კანონიერ მისწრაფებებს და უფლებებს, რომლებიც აღიარებულია ენევის შეთანხმებებით, პატივს სცემდნენ.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზი